გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №65
2023 წლის 18 აპრილი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.46.12.158.026 ქონებიდან 10 კვ.მ ფართის, ფ/პ ლანა ჩალაბაშვილისთვის (პ/ნ 59001111248) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სს „ლიბერთი ბანკის“ შიდა ქართლი-სამცხე ჯავახეთის რეგიონალური დირექტორის მიერ წერილობით მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მომხმარებლებისტვის საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობისა და კომფორტული მომსახურების მიწოდების მიზნით, სს „ლიბერთი ბანკი“ რეგიონებსა და სოფლებში არსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში და იჯარით აღებულ ფართებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ლიბერთი ექსპრესის ოპერატორების მეშვეობით ემსახურება მომხმარებლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში იგეგმება მითითებული სერვისის შეთავაზება მოსახლეობისთვის, სადაც მოქალაქეებს მოემსახურება სს „ლიბერთი ბანკთან“ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ერთ-ერთი ადგილობრივი თანამშრომელი - ლანა ჩალაბაშვილი. აღნიშნული თანამშრომლების ვალდებულებაა თვითონ მოიძიონ საიჯარო ფართები სოფლებში და საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ სს „ლიბერთი ბანკი“ აღნიშნულ თანამშრომლებს გაუფორმებს შრომით ხელშეკრულებას.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 10 იანვარს შემოსულია ფ/პ ლანა ჩალაბაშვილის (პ/ნ 59001111248) განცხადება (№ 19/202301050-20), რომელშიც მოსახლეობისთვის, ლიბერთი ბანკის სერვისების მიწოდების მიზნით, იჯარის ფორმით, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. კარალეთში მდებარე ს/კ 66.46.12.158.026 უძრავი ქონებიდან 10 კვ.მ ფართი.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 13 მარტის N 050-ქ საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.46.12.158.026, დაზუსტებული ფართობი-1978.00 კვ.მ) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან (საერთო ფართი - 334.70 კვ.მ) - 10 კვ.მ, მისამართი:

გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი კარალეთი, უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 4600 (ოთხიათას ექვსასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.46.12.158.026 უძრავი ქონებიდან 10 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კარალეთში მდებარე ს/კ 66.46.12.158.026 უძრავი ქონებიდან 10 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ ლანა ჩალაბაშვილს (პ/ნ 59001111248).

2. ს/კ 66.46.12.158.026 უძრავი ქონებიდან 10 კვ.მ ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 4600 (ოთხიათას ექვსასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კარალეთში მდებარე ს/კ 66.46.12.158.026 უძრავი ქონებიდან 10 კვ.მ გადაეცემა მოსახლეობისთვის ლიბერთი ბანკის სერვისების მიწოდების მიზნით.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის: გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**